საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მიმოხილვა

2012

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
თბილისი, სანაპიროს ქ. 44; ტელ: +995 32 243699; ელ. ფოსტა: info@gnta.ge

1. მოკლე მიმოხილვა

ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდ ინდუსტრიას წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით. 2011 წელს, ტურიზმის წილმა მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში 9% შეადგინა, რაც 6 ტრილიონ დოლარს აღემატება. აღნიშნულ სექტორში 255 მილიონზე მეტი ადამიანი მუშაობს, რაც მსოფლიო მასშტაბით დასაქმების 8.7%-ს შეადგენს. მოსალოდნელია, რომ ტურიზმის ინდუსტრიის ზრდა გაგრძელდება საშუალოდ 4%-იანი წლიური მატების ტემპით და უახლოეს წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს, ანუ დაახლოებით 10 ტრილიონ დოლარს გაუტოლდება. საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 2011 წელს 4.6%-ით გაიზარდა და 980 მილიონი შეადგინა. ამ უკანასკნელი მაჩვენებლის 2012 წლის მოსალოდნელი ზრდის ტემპი 3-დან 4%-მდე მერყეობს და UNWTO-ს ვარაუდით ის 1 მილიარდს გაუტოლდება. გარდა ამისა, UNWTO პროგნოზირებს, რომ საერთაშორისო მოგზაურების სტაბილური, საშუალოდ 3.3%-იანი ზრდის ტემპი 2030 წლამდე შენარჩუნდება.

საერთაშორისო მოგზაურების რიცხვის მკვეთრი ზრდა საქართველოშიც აღინიშნება. 2011 წელს უცხოელთა რაოდენობამ 2 822 363 შეადგინა, რაც 39%-იან ზრდას წარმოადგენს წინა წელთან შედარებით. ახლახანს განახლებული ინფორმაციით 2012 წელს უცხოელ მოგზაურთა რაოდენობა 56% გაიზარდა და 4 389 256 მიაღწია. ზრდის ტემპის თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. საქართველოს ტურიზმის სექტორის ზრდის ტემპი ბოლო წლებში უსწრებს მსოფილიო ტურიზმის ზრდის მაჩვენებელს. ეს ფაქტი დასტურდება მსოფლიო მოგზაურთა შორის საქართველოში ჩამოსულთა წილის შეფასებით. მთლიან საერთაშორისო მოგზაურთა შორის საქართველოს სტუმართა წილი 2007 წლიდან 2012 წლამდე 0.12%-დან 0.29%-მდე გაიზარდა. ბოლო სამი წლის სტატისტიკა აჩვენებს, რომ საერთაშორისო მოგზაურების უდიდესი ნაწილი ივლისსა და აგვისტოში სტუმრობს საქართველოს. თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი მოგზაურთა რაოდენობის მხრივ პირველ სამეულს წარმოადგენს. ამ ქვეყნებზე საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების დაახლოებით 76% მოდის.

სასტუმროების ბაზარზე ამჟამად აჭარის ზღვისპირა რეგიონი და თბილისი დომინირებს. სულ საქართველოს ტერიტორიაზე 1051 განთავსების საშუალებაა 34 751 საწოლი ადგილით. საწოლების რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზე აჭარის რეგიონია. მათი რაოდენობის 63% სასტუმროებზე მოდის. შემდეგ არის სასტუმრო სახლები (16%) და საოჯახო სასტუმროები (16%). ბოლო პერიოდში მოგზაურების რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან ერთად, საშუალოვადიან პერსპექტივაში აღინიშნება განთავსების საშუალებებზე მოთხოვნის გადაჭარბება მიწოდებაზე. მოსალოდნელია, რომ მოთხოვნის ზრდა განთავსების საშუალებების რაოდენობის გაზრდის საფუძველი გახდება.

ბოლო წლების განმავლობაში ავიაციის ბაზრის საგრძნობი ზრდა დაფიქსირდა. 2003 წლამდე ბაზარი არაკონკურენტული იყო და კონტროლდებოდა რამდენიმე ბიზნეს ჯგუფის მიერ.

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ბაზრის ლიბერალიზაციისათვის. აღნიშნული ქმედებების შედეგად ფრენებისა და მგზავრების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ამჟამად საქართველოს ბაზარზე რამდენიმე მსხვილი ავიაკომპანია ოპერირებს: Georgian Airways, Turkish Airlines, Lufthansa, BMI, Czech Airlines, China Southern Airlines, Qatar Airways, Alitalia, AZAl, Air

Baltic, LOT, Air Astana, Belavia, Ukraine International Airlines, Aerosvit, Estonian Air, Pegasus, Fly Dubai, Fly Georgia და სხვა.

ტურიზმის განვითარება საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. სექტორის წახალისების მიზნით ქვეყანა ინვესტორებს სხვადასხვა სტიმულებს სთავაზობს. მათ შორისაა სასტუმროებში ინვესტირების ინიციატივა და თავისუფალი ტურისტული ზონები.

მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, საქართველოში ტურიზმის სექტორი ზრდას სწრაფი ტემპებით განაგრძობს. პროგნოზები საკმაოდ ოპტიმისტურია. სწორედ მათი მიხედვით ტურიზმის სექტორში როგორც დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ზრდას მომავალ წლებშიც განაგრძობს.

2. სექტორის მიმოხილვა

2.1 გლობალური ტენდენციები

ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა მსოფლიოს მასშტაბით. 2011 წელს, ტურიზმის წილმა მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში 9% შეადგინა, რაც 6 ტრილიონ დოლარს აღემატება. მოსალოდნელია, რომ ტურიზმის ინდუსტრიის ზრდა გაგრძელდება საშუალოდ 4%-იანი წლიური ზრდის ტემპით და უახლოეს მომავალში მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს, ანუ დაახლოებით 10 ტრილიონ დოლარს გაუტოლდება. აღნიშნულ სექტორში 255 მილიონზე მეტი ადამიანი მუშაობს, რაც მსოფლიო მასშტაბით დასაქმების 8.7%-ს შეადგენს. მოსალოდნელია, რომ 2022 წლისთვის აღნიშნულ სექტორში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა 328 მილიონამდე გაზირდება და ის მთლიანი სამუშაო ადგილების 10%-ს შეადგენს.[1] საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 2011 წელს 4.6%-ით გაიზარდა და 980 მილიონს მიაღწია. ამ უკანასკნელი მაჩვენებლის 2012 წლის მოსალოდნელი ზრდის ტემპი 3-დან 4%-მდე მერყეობს და UNWTO-ს ვარაუდით ის 1 მილიარდს გაუტოლდება. გარდა ამისა, UNWTO პროგნოზირებს, რომ საერთაშორისო მოგზაურების სტაბილური, საშუალოდ 3.3%-იანი ზრდის ტემპი 2030 წლამდე შენარჩუნდება.[2]

გრაფიკი 1: საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა



წყარო:UNWTO World Tourism Barometer

საერთაშორისო ვიზიტორების ნახევარზე მეტი (51%) ევროპაზე მოდის. შესაბამისად, ევროპული ქვეყნები ამ მაჩვენებლით წამყვან ადგილებს იკავებენ. საფრანგეთი 79.5 მილიონი მოგზაურით პირველ ადგილზეა. მას ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი მოსდევს.[3]

[1] *Travel & Tourism Economic Impact.* World Travel & Tourism Council, 2012.
[2] UNWTO World Tourism Barometer, January 2012. Advance Release.
[3] UNWTO World Tourism Barometer, January 2012. Advance Release.

გრაფიკი 2: საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა: პირველი 10 ქვეყანა



წყარო:UNWTO World Tourism Barometer

2011 წელს შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 3.8%-ით გაიზარდა და პირველად ტრილიონ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა. ზრდის ტენდენცია 2007-2011 წლებში ყველა წლის მიხედვით ფიქსირდებოდა, გარდა 2009 წლისა, როდესაც შემოსავლების შემცირება აღინიშნა და ეს მაჩვენებელი 852 მილიარდამდე დაეცა.[4]

გრაფიკი 3: შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (მილიონი დოლარი)



წყარო: UNWTO World Tourism Barometer

2011 წელი ტურიზმისთვის ერთ-ერთი ყველაზე რთულ იყო. World Travel and Tourism Council-ის კვლევების თანახმად, მიუხედავად ეკონომიკური თუ პოლიტიკური არასტაბილურობისა და ბუნებრივი კატაკლიზმებისა, ინდუსტრიის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 3%-ით გაიზარდა და 2 ტრილიონი დოლარი შეადგინა. შედეგად შეიქმნა 1.2 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი. ამასთან, ვიზიტორების ექსპორტი 3%-ით, 1.2 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა. ანალოგიური ზრდის ტემპი დაფიქსირდა ინვესტიციების კუთხით და 0.7 ტრილიონი დოლარი შეადგინა. არასტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს მიუხედავად, კვლევები აჩვენებს, რომ მსოფლიო ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში ზრდას მომავალშიც განაგრძობს, მოიმატებს აგრეთვე სამუშაო ადგილების რაოდენობაც. კვლევების თანახმად, აღნიშნული ზრდა არა მხოლოდ დიდ განვითარებად ქვეყნებში (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი) დაფიქსირდება, არამედ მთელს ჩრდილო აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე, ბიზნეს მოგზაურობაზე მოთხოვნის ზრდას გამოიწვევს. ამავე კვლევებზე დაყრდნობით, ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუციის ზრდა მთლიან შიდა პროდუქტში 2012 წელს სტაბილურად 3% იქნება. გარდა ამისა, წლის განმავლობაში სექტორი დაახლოებით 2 მილიონ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის, ვიზიტორების ექსპორტი 2%-ით, ხოლო ინვესტიციები 3.5%-ით გაიზრდება.[5]

2.2 ტურიზმი საქართველოში

2.2.1 ზოგადი მიმოხილვა

საქართველო გამოირჩევა მდიდარი ბუნებრივი და კულტურული რესურსებით. მცირე ფართობის მიუხედავად (69.700კვ.კმ.), ქვეყანა ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით ერთ-ერთი უნიკალურია.

[4] UNWTO World Tourism Barometer, January 2012. Advance Release.

[5] *Travel & Tourism Economic Impact*. World Travel & Tourism Council, 2012.

საქართველოში იშვიათი სუბტროპიკული ჭაობები, ნახევრად უდაბნოები, მაღალ ალპური ზონები და თოვლიანი მწვერვალები წარმოდგენილია ერთად რამდენიმე ასეული კილომეტრის დაშორებით.

ქვეყანაში 12 000-ზე მეტი ისტორიული და კულტურული მონუმენტია, რომელთაგან 4 შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში: 1. მცხეთა - საქართველოს უძველესი დედაქალაქი 2. ბაგრატის ტაძარი (XI ს.), 3. გელათის მონასტერი ქუთაისში (XI ს.), 4. სოფელი უშგული, სვანეთში, რომელიც ითვლება ევროპის ყველაზე მაღლა მდებარე დასახლებად (2300მ). საქართველო მიმზიდველია სხვადასხვა ინტერესის მქონე მოგზაურისთვის. მაგალითად, ტურისტებს, რომლებიც საქართველოს დასასვენებლად სტუმრობენ შეუძლიათ არჩევანი 103 კურორტიდან გააკეთონ, მათ საშუალება აქვთ დააგემოვნონ მინერალური წყალი დაახლოებით 2400 მინერალური წყლის წყაროდან ან უბრალოდ ეწვიონ ზღვის სანაპიროს. ბუნების მოყვარულები შეიძლება დაინტერესდნენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 8 ეროვნული პარკითა და 31 დაცული ტერიტორიით. გუდაურის, ბაკურიანისა და მესტიის ზამთრის კურორტები მოთხილამურეებსა და დამსვენებელს დაუვიწყარ ზამთრისა თუ ზაფხულის დღეებს პირდება.

ბოლო წლების განმავლობაში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა საქართველოში სწრაფი ტემპით იზდებოდა. 2011 წელს, უცხოელ მოგზაურთა რიცხვმა 2 822 363 შეადგინა, რაც 39%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ახლახანს განახლებული ინფორმაციით 2012 წელს უცხოელ მოგზაურთა რაოდენობა 56% გაიზარდა და 4 389 256 მიაღწია.

გრაფიკი 4: საქართველო: საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ტურიზმის ზრდა გაცილებით სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ვიდრე მსოფლიო ტურიზმისა. ეს ტენდენცია აისახა მსოფლიო მოგზაურების რაოდენობაში საქართველოს უცხოელი მოგზაურების წილში, რომელიც 2007 წლიდან 2011 წლამდე 0,12%-დან 0,29%-მდე გაიზარდა.

გრაფიკი 5: საქართველოს წილი საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობაში



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

მსოფლიოს და საქართველოს ზრდის ტემპების შედარება აჩვენებს, რომ უკანასკნელ ხუთ წელიწადში მოგზაურების რაოდენობა საქართველოში გაცილებით უფრო სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა, ვიდრე მსოფლიოში. 2008 წელს, მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს, როცა მსოფლიო საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 4%-ით დაეცა, საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა საქართველოში 16%-ით გაიზარდა.

გარდა ამისა, 2011 წელს, საქართველოში ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლი (39%) დაფიქსირდა მზარდ ტურისტულ ადგილებს შორის.[6]

უკანასკნელი სამი წლის სტატისტიკა აჩენებს, რომ საერთაშორისო მოგზაურების უდიდესი წილი ივლისსა და აგვისტოზე მოდის.

გრაფიკი 6: საქართველო: საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა თვეების მიხედვით



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

მთლიანი საერთაშორისო მოგზაურების უდიდესი ნაწილი, 86% საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან სტუმრობდა (სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და თურქეთი). მხოლოდ ვიზიტორების 14% ეწვია საქართველოს სხვა ქვეყნებიდან.

გრაფიკი 7:საერთაშორისო მოგზაურები: მეზობელი ქვეყნები და მსოფლიო



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

[6] UNWTO Tourism Highlights 2012 Edition

მოგზაურების რაოდენობის მიხედვით თურქეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს პირველი სამი ადგილი უკავია. სამი ქვეყანა ერთად მთლიანი მოგზაურების რაოდენობის 76% შეადგენს.

რაც შეეხება ზრდის ტემპს, პირველი 10 ქვეყნიდან ყველაზე სწრაფი ზრდა ირანმა, ყაზახეთმა, რუსეთმა და სომხეთმა აჩვენა (შესაბამისად 511%, 236%, 118% და 99%).

გრაფიკი 8: საერთაშორისო მოგზაურები: პირველი 10 ქვეყანა



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

დაფიქსირდა აგრეთვე საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის ზრდა, რომელმაც 2011 წელს 954 908 000 აშშ დოლარს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს ტურიზმის წილი მთლიან გამოშვებაში მსოფლიო ფინანსური კრიზიისის გამო შემცირდა, მას შემდეგ ამ მაჩვენებელმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა და მისმა ნიშნულმა საბოლოოდ მთლიანი გამოშვების 7%-მდე აიწია.

გრაფიკი 9: ტურიზმის წილი მთლიან გამოშვებაში



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გრაფიკი 10: შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (1000 აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2.2.2 მოგზაურების ძირითადი მახასიათებლები

საერთაშორისო მოგზაურები

საქართველოში ვიზიტით მყოფი საერთაშორისო მოგზაურები ხასიათდებიან შემდეგი თავისებურებებით:

- საქართველოში ვიზიტის ყველაზე პოპულარული მიზეზი დასვენება და რეკრეაციაა (40%). უცხოელების მეოთხედზე მეტი მეგობრის (8%) ან ნათესავის (17%) მოსანახულებლად ჩამოდის. მოგზაურების მხოლოდ 8% სტუმრობს საქართველოს ბიზნესის და პროფესიული მიზეზებით. მოგზაურები საქართველოში ასევე შოპინგის (7%), ტრანზიტის (9%) და სხვა მიზნებისთვის (12%) ჩამოდიან;
- ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 9 დღეა, მაშინ, როცა მედიანა მხოლოდ 2-ია;
- ვიზიტორების 22% საქართველოში პირველად იმყოფებოდა;
- ყველაზე პოპულარული ტრანსპორტის საშუალება საერთაშორისო მოგზაურებს შორის სახმელეთო ტრანპორტია: ავტობუსი 47%, საკუთარი ავტომობილი 28% და ნაქირავები ავტომობილი 5%. შემდეგ მოდის საჰაერო ტრანსპორტი: საერთაშორისო ავიახაზები - 12% და საქართველოს ავიახაზები - 3%. მატარებელს და საზღვაო ტრანსპორტს უმნიშვნელო წილი, შესაბამისად 3% და 1% უკავია.
- უცხოელი ვიზიტორების პირველ სამ საქმიანობას წარმოადგენს: დასვენება და რეკრეაცია (36%), ქართული კერძების დაგემოვნება (35%), ქართული ბუნების/ლანდშაპტის გაცნობა (35%)
- ყველაზე პოპულარული ქალაქებია თბილისი და ბათუმი (თბილისი-45%, ბათუმი 40%).
- საერთაშორისო ვიზიტორების 27% საერთოდ არ ათევს ღამეს საქართველოში. ვიზიტორების იმ ნაწილიდან, რომლებიც ღამისთევით რჩებიან ქვეყანაში, ყველაზე ხშირად გამოყენებული განთავსების საშუალება სასტუმროა (36%). ვიზიტორების დაახლოებით მესამედი (34%) რჩება მეგობრის ან ნათესავის კერძო ბინაში. სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ნაკლებად გამოიყენება საერთაშორისო ვიზიტორების მიერ. მხოლოდ 9% რჩება სასტუმრო სახლში, მაშინ, როცა 8%-ს საკუთარი ბინა აქვს; ვიზიტორების 11% კი ოთახს ან ბინას ქირაობს;
- საერთაშორისო მოგზაურების 49% მარტო მოგზაურობს, 22% მეგობრებთან, 16% კი ოჯახის წევრებთან ერთად;
- მოგზაურების 70% ვიზიტს თავადვე გეგმავს. ვიზიტების მხოლოდ 16%-ია ორგანიზებული მეგობრების/ოჯახის წევრების მიერ, ხოლო 8% დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ. ტურისტული კომპანიის მიერ ორგანიზებული ვიზიტების რაოდენობა უმნიშნველოა და 1,4% შეადგენს.
- საერთაშორიო ვიზიტორების საშუალო ხარჯი საქართველოში 536 ლარია. ვიზიტორების ხარჯების უდიდესი ნაწილი (23%) მოდის საკვებსა და სასმელზე, 18% - კი შოპინგზე. ხარჯების დაახლოებით იგივე წილი აღინიშნება განთავსების საშუალებებზე 18%, მაშინ, როცა მათი თანხების 7% ადგილობრივ ტრანსპორტზე იხარჯება;

შიდა მოგზაურების თავისებურებები მცირედით განსხვავდება საერთაშორისო მოგზაურებისგან.

- ყველაზე ფართოდ გავრცელებული მოგზაურობის მიზეზი შიდა მოგზაურებს შორის არის მეგობრის ან ნათესავის მონახულება 44%, მას მოსდევს დასვენება და რეკრეაცია 16%. დაახლოებით ყოველი მეათე ვიზიტი დაკავშირებულია ჯანმრთელობის დაცვასთან, 12% მოგზაურობს შოპინგისთვის და მხოლოდ 3%-ის მოგზაურობის მიზეზს ბიზნესი ან პროფესიონალური საქმიანობა წარმოადგენს;
- ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 2 დღეა;
- შიდა მოგზაურების 20% მხოლოდ ერთხელ მოგზაურობს, მაშინ როცა 80% რეგულარულად გადაადგილდება;
- ავტობუსი ან მინიავტობუსი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სატრანსპორტო საშუალებაა შიდა მოგზაურებს შორის. 55% იყენებს ავტობუსს საკუთარი მოგზაურობის რაღაც ეტაპზე, შემდეგ მოდის კერძო ავტომობილი 34%. მხოლოდ მცირე ნაწილი იყენებს მატარებელს და ნაქირავებ მანქანას, შესაბამისად 6% და 4%;
- მთავარი საქმიანობა შიდა მოგზაურობის დროს არის დასვენება და რეკრეაცია (30%), შოპინგი (22%) და ბუნების მონახულება (9%);
- სამი ყველაზე ხშირად მონახულებადი ადგილებია: თბილისი (27%), ქუთაისი (9%) და ბათუმი (7%);
- რაც შეეხება ღამისთევას, შიდა მოგზაურების 40% არ ათევს ღამეს. მათგან, ვინც ღამისთევით მოგზაურობს, 55% ირჩევს მეგობრის ან ნათესავის კერძო განთავსების საშუალებას, 17% კერძო სახლს და 11% მეორე საცხოვრებელ ბინას;
- შიდა მოგზაურები ძირითადად ან მარტო მოგზაურობენ (44%) ან ოჯახის უახლოეს წევრებთან ერთად (36%). მეოთხედ ვიზიტორებზე ნაკლები (23%) მოგზაურობს ოჯახის სხვა წევრებთან, მეგობრებთან, თანამშრომლებთან.
- მოგზაურების დაახლოებით 68% თავად უწევს ვიზიტს ორგანიზებას, 28% კი ამ საქმეს ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ანდობს. ვიზიტების მხოლოდ მცირე ნაწილია ორგანიზებული დამსაქმებელი ორგანიზაციის (8%) ან ტურისტულ კომპანიის მიერ (0,02%).

2.2.2 სასტუმროების ინდუსტრია

ამჟამად, ზღვისპირა რეგიონი აჭარა და თბილისი დომინირებენ საქართველოს სასტუმროების ბაზარზე. მთლიანობაში ქვეყანაში 1051 განთავსების საშუალებაა 34 751 საწოლი ადგილით. ამ უკანასკნელით ლიდერობს აჭარის რეგიონი.

სასტუმროებზე საწოლი ადგილების რაოდენობის 63% მოდის, მას მოსდევს სასტუმრო სახლები და საოჯახო სასტუმროები, თითოეული 16%-იანი წილით. ბოლო პერიოდში ვიზიტორების რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან ერთად, საშუალოვადიან პერსპექტივაში აღინიშნება განთავსების საშუალებებზე მოთხოვნის გადაჭარბება მიწოდებაზე. მოსალოდნელია, რომ მოთხოვნის ზრდა განთავსების საშუალებების რაოდენობის გაზრდის საფუძველი გახდება.

თბილისში რამდენიმე საერთაშორიოს ბრენდის სასტუმროა: Radisson Blue Iveria, Tbilisi Marriott, Courtyard Marriot, Sheraton Metekhi Palace, Holiday Inn და Citadines.

საქართველოს სასტუმროების ბაზარზე კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ქსელი აპირებს შემოსვლას. რაც შეეხება ბათუმს, იქ ახლახანს Sheraton-ისა და Radisson Blue-ს ბრენდის სასტუმროები გაიხსნა. ამასთან მიმდინარეობს ისეთი ცნობილი სასტუმროების ქსელის მშენებლობა

როგორიცაა: : Kempinski, Hilton, Holiday Inn, Ritz-Carlton, Marriott და სხვა

საერთაშორისო ბრენდის სასტუმროების გარკვეული რაოდენობა ასევე იწყებს ფუნქციონირებას საქართველოს სპა კურორტებზეც.

გრაფიკი 11: განთავსების საშუალებების განაწილება



წყარო :ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გრაფიკი 12: საწოლი ადგილების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



წყარო :ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გრაფიკი 13: საწოლი ადგილების რაოდენობა ტიპების მიხედვით



წყარო :ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

2.2.3 საავიაციო სექტორი

საქართველოს საავიაციო ბაზარი მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. 2003 წლამდე ბაზარზე არ არსებობდა თავისუფალი კონკურენცია და მას მონოპოლიურად აკონტროლებდა რამოდენიმე ბიზნეს ჯგუფი. თუმცა, ვარდების რევოლუციის შემდეგ, არაერთი ნაბიჯი გადაიდგა ბაზრის ლიბერალიზაციისკენ, რამაც ფრენებისა და მგზავრების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც დაეხმარება ქვეყანას გახდეს რეგიონალურ სატრანსპორტო ცენტრი. მათ შორის არის: ღია ცის პოლიტიკის დანერგვა, საქართველოს ინტეგრირება ევროპის საერთო საავიაციო სივრცეში და თანამედროვე აეროპორტების ქსელის განვითარება.

ღია ცის პოლიტიკა

2005 წელს საქართველომ დაიწყო ღია ცის პოლიტიკის გატარება, რაც ითვალისწინებს ლიბერალურ მიდგომას თავისუფალი კონკურენციის წასახალისებლად და საქართველოს საავიაციო ბაზარზე უცხოური

ავიაკომპანიების მოსაზიდად. ღია ცის პოლიტიკის შემოღებამ გაამარტივა მსოფლიოს ისეთი უდიდესი ავაიკომპანიების საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ბაზარზე შემოსვლა, როგორებიცაა Lufthansa, Turkish Airlines, China Southern Airlines, Fly Dubai, LOT Polish Airlines, Air Baltic, Estonian Air, Air Astana, ATA Air, Ukraine International Airlines, Aerosvit, Qatar Airways Alitalia, UTair and Aegean Airlines.

საქართველოს საერთო ევროპულ საავიაციო ბაზართან ინტეგრირება

საერთო საავიაციო სფეროს შეთანხმებას (The Common Aviation Area Agreement) ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა 2010 წლის 2 დეკემბერს, ბრიუსელში. ხელშეკრულების მიზანია, შესაბამისი ბაზრების გახსნა და საქართველოს ინტეგრირება უფრო ფართო საერთოევროპულ საავიაციო სივრცეში. ასევე ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან.

სხვა პროექტები

- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ,,თვინინგის" (Twinning) პროგრამა, რომლის მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს და მოახდინოს რეგულაციების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ავიაციის უსაფრთხოება და საჰაერო მიმოსვლის ლიცენზირება (პროგრამა დაიწყო 2011 წელს);
- მოხდა შიდა ფრენების ოპერატორებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- შემუშავდა შეთავაზება დაბალბიუჯეტიანი გადამზიდავებისთვის, საქართველოს საავიაციო ბაზარზე მათ მოსაზიდად;
- 2010 წელს, საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციამ (International Air Transport Association)(IATA) მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის Billing and Settlement Plan-ის ჩამოყალიბების შესახებ. ეს სისტემა ამარტივებს გაყიდვა, აღრიცხვისა და გადაცემის პროცედურებს IATA-ს მიერ აკრედიტირებულ სააგენტოებისთვის;
- წარმატებული ნაბიჯები გადაიდგა ეროვნული სამოქალაქო ავიაციის კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:
- განხორციელდა ახალი საჰაერო კანონმდებლობის გეგმის ინიცირება;
- საოპერაციო რეგულაციები შემუშავდა და გამოიცა პერსონალის ლიცენზირებისათვის (PEL), ოპერაციებისთვის (OPS) და თვითმფრინავის ფრენის ვარგისიანობიათვის (AIR);
- განხორციელდა PEL, OPS და AIR დომეინებში ზედამხედველობის პროგრამის სტრუქტურიზაცია;
- მოხდა ლიცენზირების, სერთიფიცირების, ავტორიზაციისა და დამტკიცების პროცედურების განახლება;
- საქართველოს საჰაერო ნავიგაციის სერვისის მიმწოდებელმა შ.პ.ს. „საჰაერონავიგაციამ", (პასუხისმგებელია საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტზე საქართველოში) დანერგა რამდენიმე პროექტი, რომლებიც ორიენტირებულია საჰაერო მიმოსვლის კონტროლის სისტემებზე, რადიო ლოკაციებზე, ილუმინაციისა და ტექნიკური აღჭურვილობის განახლებაზე.

დაგეგმილი საქმიანობა

- საქართველო მოახდენს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროპულ სტანდარტებთან და დანერგავს ევროკავშირის საავიაციო წესებს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ავიაციის უსაფრთხოება,

გარემო, მომხმარებელთა დაცვა, საჰაერო მიმოსვლის მენეჯმენტი, ეკონომიკური რეგულირება, კონკურენციისა და სოციალური საკითხები. ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესის დაჩქარება (EUROCONTROL);

- BSP საქართველოს დაფუძნების მხარდაჭერა.

ინფრასტრუქტურული პროექტები

საქართველოში ორი საერთაშორისო და ერთი ადგილობრივი აეროპორტი ფუნქციონირებს. ისინი სრულად აკმაყოფილებენ საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებს.

თბილისის და ბათუმის საერთაშორიო აეროპორტებს მართავს თურქული კომპანია TAV Airports Holding Co. აეროპორტებმა ფუნქციონირება 2007 წლის თებერვალში და მაისში დაიწყეს. მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი ოფიციალურად 2011 წელს გაიხსნა. თბილისის და ბათუმის საერთაოშორისო აერპორტების გამტარუნარიანობა 2000 და 300 მგზავრი/საათია შესაბამისად. რაც შეეხება მესტიის საერთაშორისო აეროპორტს, მისი გამტარუნარიანობა არის 100 მგზავრი/საათში.

2012 წლის სექტემბერში ქუთაისში გაიხსნა დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, პირველი ავიარეისი უნგრულმა ავიაკომპანია Wizz Air-მა შეასრულა კიევის მიმართლებით. კომპანია მესამე დაბალბიუჯეტიანი გადამზიდავია საქართველოს ბაზარზე Pegasus და FlyDubai შემდეგ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ფოთის საერთაშორისო აეროპორტის გახსნა, რომელიც რეგიონალური და საერთაშორისო ტრანსპორტის ცენტრი იქნება.

გრაფიკი 14: თბილისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო :ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

გრაფიკი 15: ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და რეისები



წყარო :ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

გრაფიკი 16: ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და რეისები



წყარო :ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ავიახაზები

2012 წელს ბაზარზე ახალი მოთამაშე კატარის ავიახაზები შემოვიდა ბაქო-თბილისის მარშრუტის გახსნით. კატარის ავაიახაზები პირველია ყურის გადამზიდავებს შორის საქართველოში და მეორეა ახლო აღმოსავლეთის გადამზიდავებს შორის Fly Dubai-ს შემდეგ. კატარის ავიახაზები უზრუნველყოფს კავშირს ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და აზიის ქალაქებთან. ახალი ავიახაზების გარდა, ბაზარზე არსებულმა კომპანიებმაც გაზარდეს ფრენების რაოდენობა მიმდინარე პერიოდში. 2012 წლის ივნისში, Air Astana-მ გაზარდა ალმა-ატა - თბილისის რეისების რაოდენობა სამიდან ოთხამდე კვირაში. კომპანია აპირებს ერთი ფრენის დამატებას ასტანა-თბილისის მიმართულებითაც. მზარდმა ინტერესმა თბილისის მიმართ გავლენა მოახდინა Air Astana-ს გეგმებზე შექმნას მისი ცენტრალუსი აზიის ქსელი საქართველოში, ალმა-ატას და ასტანას ცენტრებს შორის დასაკავშირებლად.

China Southern Airlines-მაც ახლახანს გაზარდა ურუმჩი-თბილისის ფრენების რაოდენობა ორიდან-სამჯერ კვირაში. გადამზიდავი იყენებს ურუმჩის როგორც სატრანზიტო ცენტრს მისი სწრაფად მზარდი ქსელისთვის ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში.

ახლახანს საქართველოს საავიაციო ბაზარს დაემატა ადგილობრივი კომპანია Fly Georgia. იხსნება აგრეთვე კომპანია Air Caucasus. სამომავლოდ ხსენებული ავიახაზები მნიშვნელოვან კონკურენციას გაუწევენ ,,საქართველოს ავიახაზებს“ .

კიდევ ერთი ავიაკომპანია, რომელიც მზარდ ინტერესს გამოხატავს საქართველოს მიმართ არის AirBaltic, რომელიც ემსახურება რიგა-თბილისის მიმართულებას სამჯერ კვირაში და განიხილავს ოთხი ფრენის შეთავაზებას.

ეს წელი გამოწვევებით სავსე იქნება საქართველოს საავიაციო ინდუსტრიისთვის, რადგან ახალი ავიაკომპანიები აპირებენ ბაზარზე შემოსვლას, ბევრი მოქმედი კომპანია გამოხატავს ფრენის სიხშირის გაზრდის ინტერესს.

მიუხედავად იმისა, რომ ზრდა სეზონურია, წარმატება წინ არის, რადგან ქვეყანა მხოლოდ ახლა იწყებს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას რეგიონის სატრანსპორტო ცენტრად გასახდომად.[7]

საქართველოში მოქმედი ძირითადი ავიაკომპანიებია: Georgian Airways, Turkish Airlines, Lufthansa, BMI, Czech Airlines, China Southern Airlines, Qatar Airways, Alitalia, AZAl, Air Baltic, LOT, Air Astana, Belavia, Ukraine International Airlines, Aerosvit, Estonian Air, Pegasus, Fly Dubai, Fly Georgia, ATA airlines, SCAT, Ural Airlines, Arkia Israel Airlines, S7, Aegean Airlines.

გრაფიკი 17: თბილისის საერთაშორისო აეროპორტი: ავიახაზების წილობრივი განაწილება



წყარო :ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

[7] CAPA, ავიაციის ცენტრი, 2012. ხელმისაწვდომია http://centreforaviation.com/analysis/georgias-aviation-market-expanding-with-government-interest-76705

გრაფიკი 18: თბილისის საერთაშორისო აეროპორტი



წყარო :ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2.2.4 მთავრობის ინიციატივები

საქართველოს მთავრობა ტურიზმისა და სასტუმროების ინდუსტრიის განვითარებას პრიორიტეტულად მიიჩნევს. რასაც მოწმობს სხვადასხვა საინვესტიციო ინიციატივების სხვადასხვა საინვესიტიო პროექტის წამოწყება. მათ შორის არის *სასტუმროებში ინვესტირების ინიციატივა,* რომელიც შესაძლებლობას აძლევს ინვესტორებს ისარგებლობენ შემდეგი პირობებით:

- კერძო საკუთრების ხელმისაწვდომობა პრივატიზაციის საშუალებით;
- პრივატიზებული ქონების შესყიდვა პირდაპირი შესყიდვის საშუალებით;
- მნიშვნელოვანი ფასდაკლებები პრივატიზირებულ ქონებაზე;
- ხელსაყრელი პირობები თბილისსა და რეგიონალურ ცენტრებში ინვესტირებისათვის

ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონა

ინვესტორები, რომლებიც განახორციელებენ სასტუმროს მშენებლობაში 1 მილიონ ლარზე მეტ ინვესტიციას, შეძლებენ მიიღონ:

- უფასო მიწა
- სასტუმროს უფასო პროექტი
- უფასო კაზინოს ლიცენზია 100 ოთახზე მეტი ტევადობის სასტუმროს მშენებლობისას
- მოგებისა და ქონების გადასახადისგან გათავისუფლება 15 წლის განმავლობაში
- ტერიტორიის საინჟინრო კომუნალური ქსელებითა და სათანადო გარე ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა

ქობულეთის შემდეგ მოხდა ანაკლია/განმუხურის თავისუფალი ტურისტული ზონის ჩამოყალბება. სპეციალური პაკეტი ინვერსტორებისთვის შემდეგია:

- უფასო მიწა
- სასტუმროს უფასო პროექტი
- მოგების და ქონების გადასახადიდან გათავისუფლება 15 წლის განმავლობაში
- მინერალური წყლის მიწოდება
- უფასო კაზინოს ლიცენზია 80 ოთახზე მეტი ტევადობის სასტუმროს მშენებლობის შემთხვევაში
- სრული საინჟინრო კომუნალური სისტემა (წყალი, ელექტროენერგია, გაზი)
- საქართველოს მოქალაქეობა უცხოელი ინვერსტორებისთვის

ბაზარზე შესვლა შესაძლებელია არა მხოლოდ როგორც სასტუმროს მფლობელის სახით, არამედ სასტუმროს ოპერატორის სახითაც.

მაგალითად, ბევრი ქართული სასტუმრო დაინტერესებულია საერთაშორისო ოპერატორებთან თანამშრომლობით, რაც საშუალებას მისცემს მათ

გაზარდონ მიღებული შემოსავალი და დატვირთვის კოეფიციენტის მაჩვენებლები.

2.3 სექტორის განვითარების პერსპექტივები

გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოს ტურიზმის ინდუსტრია აგრძელებს ზრდას. პერსპექტივა სექტორისთვის საკმაოდ ოპტიმისტურია. პროგნოზის თანახმად ინდუსტრია შექმნის უფრო მეტ სამუშაო ადგილს და შემოიტანს უფრო მეტ შემოსავალს მომავალ წლებში.

მოგზაურების რაოდენობის გასაზრდელად ხდება შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: ხდება ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება, მომსახურების ხარისხის ზრდა, ხორციელდება მასშტაბური მარკეტინგული კამპანიები, ახალი ბაზრების ათვისება და ტურისტული პროდუქტების განვითარება.

მნიშნველოვანი სამუშაო განხორციელდა მოგზაურობის გაადვილებისა და სავიზო სისტემის გამარტივების კუთხითაც. საქართველოს აქვს უვიზო მიმოსვლა დაახლოებით 87 ქვეყანასთან, მათ შორის არის: ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, რომელთა მოქალაქეებსაც საქართველოში შემოსვლა მხოლოდ პირადობის დამდასტურებელი მოწმობით შეუძლიათ. აღსანიშნავია, რომ ვიზები ბევრი სხვა ქვეყნის მოქალაქისთვის გაიცემა საზღვარზე.

მოგზაურობის გამარტივებასთან ერთად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვის მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე სერვისის ხარისხის ამაღლების საკითხიც. სწორედ ამ მიზნით საქართველოს მასშტაბით ხორციელდება ინტენსიური ტრენინგები ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის.

მარკეტინგი უდავოდ თამაშობს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ცნობადობის გაზრდაში და ვიზიტორთა რაოდენობს ზრდაში.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული აქტივობები მოიცავს სარეკლამო კამპანიებს შიდა და საერთაშორიო ბაზრებზე, პრეს და გაცნობითი ტურების ორგანიზებას, საერთაშორიო გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობის მიღებას, ბეჭდური მასალის გავრცელებას და სხვა. სწორი ბაზრების არჩევა მარკეტინგის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ამიტომ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არსებული ბაზრების შენარჩუნებასთან ერთად კონცენტრირებულია ახალი ბაზრების ათვისებაზე, მათ შორის განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე, რომლებიც დიდი პოტენციალით გამოირჩევიან.

საქართვლოს მდიდარი ბუნებრივი და კულტურული რესურსების მაქსიმალური გამოყენებითა და ახალი ტურისტული პროდუქტების შეთავაზებით შესაძლებელია სხვადასხვა ინტერესის მქონე მოგზაურების მოზიდვა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარებაზე, როგორიცაა MICE, ღვინის, ეკო, სათაგადასავლო ტურიზმი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მდგრად განვითარაებას, რადგან გარემოს შენარჩუნება და რესურსების მდგრადი გამოყენება უმნიშვნელოვანესია მომავალი თაობებისთვის.

2.3.1 გრძელვადიანი პერსპექტივები

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადა 2015

26-27 ნოემბერს, ბელგრადში, 39-ე გენარალური ასამბლეის სხდომაზე ევროპის ოლიმპიურმა კომიტეტმა საქართველოს დედაქალაქი აირჩია ევროპული ახაგაზრდული ოლიმპიადის მასპინელ ქალაქად. ფესტივალში 49 ქვეყნის წარმომადგენელი 4000 ათლეტი მიიღებს მონაწილეობას. დაგეგმილია ქალაქის სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება ევროპული სტანდარტების მიხედვით და ოლიმპიური სოფლის აშენება. მხოლოდ ამ ერთი ღონისძიების ფარგლებში თბილისი უმასპინძლებს 10 000 ვიზიტორს, საიდანაც დაახლოებით 5000 გაჩერდება საშუალო კლასის სასტუმროში და დაახლოებით 200 ვიზიტორი მაღალი კლასისი სასტუმროს აირჩევს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს რომ თბილისში ამჟამად 5011 საწოლი ადგილია (სასტუმრო სახლებისა და საოჯახო სასტუმროების ჩათვლით), აუცილებელი ხდება სასტუმროების მშენებლობაში ახალი ინვესტიციების ჩადება, რათა შეივსოს დეფიციტი მიწოდებაში.

უეფას სუპერ თასი (UEFA Super Cup) 2015

უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა თბილისს მისცა შესაძლებლობა უმასპინძლოს მეგა სპორტულ ღონისძიებას, უეფას სუპერ თასს. უეფას სუპერთასი ყოველწლიური შეჯიბია, სადაც ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის გამარჯვებულები ხვდებიან. თამაში ჩატარდება მიხეილ მესხის სტადიონზე. ღონისძიებას დაესწრებიან ფეხბურთის გულშემატკივრები მთელი მსოფლიოდან.